



საარჩევნო სისტემების  
განვითარების, რეფორმებისა და  
სწავლების ცენტრი



ცესკო

საპარტევლოს საარჩევნო  
ადმინისტრაცია

საკონკურსო თემატიკა:

„ამომრჩევთა განათლება საარჩევნო და სამოქალაქო კულტური  
განვითარებისათვის“

ხელი შეეწყოს ახალქალაქისა და ნინოწმინდის  
საარჩევნო ოლქებში მცხოვრები სომხურენოვანი  
მოსახლეობის გააზრებულ ჩართულობას  
ელექტორალურ და სამოქალაქო საზოგადოებრივ  
პროცესებში

პროექტის განხორციელების პერიოდი: 25 სექტემბერი-25 ნოემბერი, 2019 წ

# პროექტის მიზანი


ხელი შეეწყოს ახალქალაქისა და ნინოწმინდის საარჩევნო ოლქებში მცხოვრები სომხურენოვანი მოსახლეობის გააზრებულ ჩართულობას ელექტორალურ და სამოქალაქო საზოგადოებრივ პროცესებში

## პროექტის განხორციელების არეალი

- ▶ ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტები, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

# სამიზნე ჯგუფი

პროექტის უშუალო ბენეფიციარები არიან სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობას მიკუთვნებული 64 პირი



The background features abstract, overlapping green geometric shapes, primarily triangles and polygons, in various shades of green, creating a modern and dynamic visual effect.

# პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

# I. პროექტის მოსამზადებელი ეტაპი:

საინფორმაციო შეხვედრები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში

| თარიღი        | ადგილი                                               |
|---------------|------------------------------------------------------|
| 22.10.2019 წ. | ტურისტული ცენტრის ოფისი, სოფ. პატარა ხანჩალი         |
| 23.10.2019 წ. | დარბაზი, რესტორანი „პეგასი“, სოფ. ფოკა               |
| 23.10.2019 წ. | „ჯავახეთის ჯანსაღი საზოგადოების“ ოფისი, ქ.ნინოწმინდა |
| 24.10.2019 წ. | „ჯავახეთის ჯანსაღი საზოგადოების“ ოფისი, ქ.ნინოწმინდა |



# I. პროექტის მოსამზადებელი ეტაპი:

საინფორმაციო შეხვედრები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში

| თარიღი        | ადგილი                                    |
|---------------|-------------------------------------------|
| 10.10.2019 წ. | ცენტრი PITA, ქ. ახალქალაქი                |
| 15.10.2019 წ. | სოფ.დილისკა                               |
| 25.10.2019 წ. | ჯავახეთის პროფესიული კოლეჯი, ქ.ახალქალაქი |





## II. სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამის რეალიზება:

ჩატარდა 3, ოთხდღიანი სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამა, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები 64 სომხურენოვანი პირისთვის. კერძოდ, 1 ტრენინგი ჩატარდა ნინოწმინდაში მიზნობრივი აუდიტორიის 21 წარმომადგენლისთვის, ხოლო 2 ტრენინგი - ახალქალაქში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 43 პირმა.

**დღე 1: სწავლების ცენტრის კონტრიბუცია**

**არჩევნების არსი და დემოკრატიული საარჩევნო პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები:**

არჩევნების არსი და მნიშვნელობა

არჩევითი სახელმწიფო ორგანოები

1991 წლიდან დღემდე ჩატარებული არჩევნების სტატისტიკა

დემოკრატიული საარჩევნო პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები

არჩევნებში ჩართული მხარეები და მათი როლი დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად

**საარჩევნო უფლებების რეალიზების მექანიზმები:**

მოქალაქის/ამომრჩევლის ჩართულობა საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე

ხმის მიცემის პროცესი და პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

ამომრჩეველთა სიაში მონაცემთა გადამოწმება; გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში რეგისტრაციის წესი

საარჩევნო ადმინისტრაციასა და მოქალაქეებს შორის ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო არხები

## II. სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამის რეალიზება:

### დღე 2:

ინკლუზიური არჩევნები: არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში ამომრჩეველთა მონაწილეობის მნიშვნელობა და მისგან მომდინარე საზოგადოებრივი სიკეთე;

საარჩევნო პროცესში ყველა მოქალაქისთვის თანაბარი შესაძლებლობების მქონე გარემოს ფორმირების საჭიროება;

პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში მოქალაქეთა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ჩართულობის ამაღლებაზე მოქმედი ფაქტორები, მეთოდები და საშუალებები;

სავალალო შედეგი, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს ელექტორალურ პროცესში მოსახლეობის ჩართულობის დაბალმა ხარისხმა.



## II. სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამის რეალიზება:

დღე 3:

**ტრენერთა ტრენინგი:**

ტრენინგის გახსნის ეტაპები

ტრენერის მახასიათებლები

ჯგუფის მართვის ტექნიკები

ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია .

**საარჩევნო უფლებები და მათი რეალიზების სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარანტიები:**

საქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კანონმდებლობით უზრუნველყოფილი საარჩევნო უფლებები

ამომრჩევლის უფლება-მოვალეობები, მათი გამოყენების მნიშვნელობა და რეალიზების ხელშემწყობი სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარანტიები

არჩევნებში ჩართული მხარეების ფუნქციონალური მანდატი, თანამშრომლობის ფორმები და არსებული გამოწვევები

**გენდერული თანასწორობა არჩევნებში:**

ქალთა პოლიტიკური ჩართულობის მნიშვნელობა და ხელშემშლელი ბარიერები

პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის ხელშემწყობი მექანიზმები და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა

პოლიტიკაში/არჩევნებში ქალთა თანასწორუფლებიან მონაწილეობაზე გავლენის მქონე ფაქტორები

## II. სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამის რეალიზება:

დღე 4:

საქართველოს არჩევნების ისტორია და თანამედროვეობა:

დამოუკიდებელ საქართველოში ჩატარებული დემოკრატიული არჩევნების ქრონოლოგია და მოკლე ექსკურსი საქართველოში ჩატარებული არჩევნების ამსახველი ისტორიული დოკუმენტაციის მიმოხილვა

დემოკრატიული არჩევნების არსი და მნიშვნელობა საერთო საზოგადოებრივი განვითარების კონტექსტში:

არჩევნები და დემოკრატია: არსი და ურთიერთმიმართება, არჩევნების საკანონმდებლო რეგულირება

საარჩევნო სამართლის პრინციპები, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმები

ამომრჩევლებსა და მათ მიერ არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულების პრინციპები, ფორმები და მეთოდები:

სახელმწიფო კონსტიტუციური მოწყობა, საქართველოს საარჩევნო სისტემა, ანგარიშვალდებულების პრინციპები, ფორმები და მეთოდები

არჩევნების უსაფრთხოება:

საარჩევნო ქცევისა და ეთიკის ზოგადი სტანდარტი; არჩევნებში ჩართული მხარეების როლი უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფაში; საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის და სხვა ჩართული მხარეების ქცევის კოდექსი და ეთიკა; უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის საერთაშორისო გამოცდილება.

## II. სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამის რეალიზება: ქ. ნინოწმინდა 5-8 ნოემბერი, 2019 წ.





## II. სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამის რეალიზება: ქ. ახალქალაქი 12-15 ნოემბერი, 2019 წ.



## II. სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამის რეალიზება: ქ. ახალქალაქი 19-22 ნოემბერი, 2019 წ.



პროექტის ეფექტი (მიღწეული შედეგები)



# რაოდენობრივი შედეგები:

- ▶ პროექტის მიზნების, ამოცანებისა და დაგეგმილი აქტივობების პრეზენტაციისა, ასევე მიზნობრივი ჯგუფის მობილიზების მიზნით, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში. კერძოდ, გაიმართა 7 შეხვედრა, რომელმაც ჯამში 84 პირი მოიცვა, მათ შორის ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, მედიისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, სტუდენტები, ახალგაზრდები და სხვ. როგორც რაიონული ცენტრებიდან, ასევე სოფლებიდან; მიღებულ იქნა სატრენინგო პროგრამაში მონაწილეობის მიღების მსურველთა 68 განაცხადი.
- ▶ ჩატარდა 3, ოთხდღიანი სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამა, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები 64 სომხურენოვანი პირისთვის. კერძოდ, 1 ტრენინგი ჩატარდა ნინოწმინდაში მიზნობრივი აუდიტორიის 21 წარმომადგენლისთვის, ხოლო 2 ტრენინგი - ახალქალაქში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 43 პირმა.
- ▶ პროექტის აქტივობები გაშუქდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედი ორი მედია-საშუალებით, კერძოდ ტვ „ფარვანა“-სა (1 სიუჟეტი) და რადიო „ნორ“-ის (1 სიუჟეტი) მიერ.
- ▶ ტვ „ფარვანა“ - <https://www.youtube.com/watch?feature=youtu.be&v=DMuVmQsjYXg&fbclid=IwAR02qNVurf-PnDj7LGHWpZPp-dSutmNiWKgVyade7eSDM8ItBZHUGPIKf8&app=desktop>
- ▶ რადიო „ნორ“ - <http://nor.ge/?p=128051>

# თვისებრივი შედეგები:

სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის შესაძლებლობათა გაფართოების პროგრამის მონაწილეებმა შეიძინეს ცოდნა შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

- ▶ საქართველოს არჩევნების ისტორია და თანამედროვეობა; დემოკრატიული არჩევნების არსი და მნიშვნელობა საერთო საზოგადოებრივი განვითარების კონტექსტში;
- ▶ არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში ამომრჩეველთა მონაწილეობის მნიშვნელობა და მისგან მომდინარე საზოგადოებრივი სიკეთე;
- ▶ საარჩევნო პროცესში ხარისხობრივი და რაოდენობრივი ჩართულობის მაღალი დონე, როგორც სოციალური სამართლიანობის რეალიზების უპირობო გარანტია;
- ▶ სავალალო შედეგი, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს ელექტორალურ პროცესში მოსახლეობის ჩართულობის დაბალმა ხარისხმა დემოკრატიული პროცესების დაყოვნების კუთხით, ისევე როგორც ადგილობრივ თემებში ღრმად ფესვგამდგარმა ნიჰილიზმმა და საარჩევნო პროცესებში მათი მონაწილეობის ინტერესის სიმწირემ; სახელმწიფო კონსტიტუციური მოწყობა და არჩევითი ორგანოების (პარლამენტი და საკრებულო) ფორმირების წესი;
- ▶ ამომრჩევლებსა და მათ მიერ არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულების პრინციპები, ფორმები და მეთოდები;
- ▶ საარჩევნო უფლებები და მათი რეალიზების სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარანტიები;
- ▶ გენდერული თანასწორობა არჩევნებში;
- ▶ საარჩევნო პროცესში მოწყვლადი ჯგუფების, განსხვავებული შეხედულებებისა და აზრის მქონე პირთა ჩართულობის აუცილებლობა და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების მქონე გარემოს ფორმირება, როგორც შესაძლო კონფლიქტის წარმოქმნის ერთ-ერთი მძლავრი პრევენციული ფაქტორი;

# თვისებრივი შედეგები:

- ▶ ინკლუზიური არჩევნები (ეთნიკურ უმცირესობათ ჩართულობა საარჩევნო პროცესში): როგორ დაიძლიოს ეთნიკურ უმცირესობებში ფესვგადგმული ნიჭილიზმის შეგრძნება და გამოდინარე აღნიშნულიდან გაჩნდეს რწმენა, რომ უმცირესობათა აქტიურ სამოქალაქო-პოლიტიკურ და ელექტორალურ აქტიობას პოზიტიური შედეგი მოჰყვება პირადი სოციალური თუ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით;
- ▶ არჩევნების უსაფრთხოება;
- ▶ ელექტორალურ პროცესში ჩართული მხარეების ფუნქციონალური მანდატის ანალიზი და მათი როლი დემოკრატიული არჩევნების უზრუნველსაყოფად;
- ▶ დემოკრატიული საარჩევნო პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები (მათ შორის, ხმის მიცემის ფარულობის პრინციპი);
- ▶ ამომრჩევლის ჩართულობა საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე და საარჩევნო უფლებების რეალიზების მექანიზმები (მათ შორის, ამომრჩეველთა სიაში თავის გადამოწმება, გადასატანი საარჩევნო ყუთით სარგებლობის წესი, საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესში მონაწილეობა);
- ▶ საარჩევნო ადმინისტრაციის და სხვა ჩართული მხარეების ფუნქციები და როლი ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად;
- ▶ საარჩევნო ადმინისტრაციასა და მოქალაქეებს შორის ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო არხები.
- ▶ გარდა აღნიშნულისა, მონაწილეებმა შეიძინეს ტრენერობის საბაზისო უნარ-ჩვევები, რაც მათ ადგილობრივი თემის წარმომადგენლებისთვის მომავალში მსგავსი ხასიათის საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების დამოუკიდებლად ჩატარებაში დაეხმარება.

# გამოწვევები / რეკომენდაციები

პროექტით გათვალისწინებული ყველა აქტივობა განხორციელდა დაგეგმილის მიხედვით. მცირე ცვლილება შეეხო საპროექტო მასალების თარგმნას. ტრენინგის მონაწილეთა თხოვნისა და საოლქო კოორდინატორების რჩევის საფუძველზე, სასწავლო მასალები სომხური ენის ნაცვლად ითარგმნა რუსულ ენაზე, რის თაობაზეც წინასწარ ეცნობა სწავლების ცენტრს.

\*\*\*

მონაწილეთა დიდი ნაწილის შეფასებით, სატრენინგო თემები იყო თანაბრად საინტერესო, თუმცა გამოიკვეთა შემდეგი თემები, რომლებმაც მონაწილეთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვიეს (ხუთი თემა პრიორიტეტის მიხედვით):

- ▶ პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში მოქალაქეთა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ჩართულობის ამაღლებაზე მოქმედი ფაქტორები, მეთოდები და საშუალებები (56,25%)
- ▶ არჩევნების უსაფრთხოება (51,56%)
- ▶ არჩევნების არსი და დემოკრატიული საარჩევნო პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები (48,44%)
- ▶ არჩევნებში ჩართული მხარეები და მათი როლი დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად (48,44%)
- ▶ ტრენერთა ტრენინგი (45,31%)



დიდი მადლობა ყურადღებისთვის !